ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №993

ქ. ბათუმი, 08 სექტემბერი 2020წ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემისათვის განმეორებითი პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 8 სექტემბრის №981 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემისათვის განმეორებითი პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 8 სექტემ-ბრის №981 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების დანართით განსაზღვრულ სააუქციონო პირობებში მითითებული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო ჩამო-ყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აუქციონი იწყება 2020 წლის 9 სექტემბერს 16:00 საათზე და სრულდება 2020 წლის 16 სექტემბერს 14:00 საათზე.“

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ